

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N219 საცხოვრებელი სახლის
N13 ბინაზე, მოქალაქე ლადო გუმბერიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა თაბუკაშვილის ქუჩა N219 საცხოვრებელი სახლის N13 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ლადო გუმბერიძის წარმომადგენლის მედია გელოვანის განცხადება /2013 წლის 18.03 Nგ-3309/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N219 საცხოვრებელი სახლი N13 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ლადო გუმბერიძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N219 საცხოვრებელი სახლის N13 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ლადო გუმბერიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N219 საცხოვრებელი სახლის N13 ბინაზე /საერთო ფართობი 36,66 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 16,70 კვ.მ, დამხმარე ფართობი 12,05 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 7,91 კვ.მ./ მოქალაქე ლადო გუმბერიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.